პრეზიდენტი თომას ს. მონსონის მიერ

„არ მიგატოვებ და თავს არ დაგანებებ“

ჩვენმა მამაზეციერმა . . . იცის, რომ ჩვენ ვსწავლობთ და ვიზრდებით, როცა გადასალახი სირთულეების წინაშე აღმოვჩნდებით.

დღეს ჩემს დღიურში ჩავწერ: „ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სულის ასამაღლებელი გენერალური კონფერენციის სესია, რომელსაც როდესმე დავსწრებულვარ. ყველაფერი ატარებდა დიდებულ სულიერ ხასიათს.“

დებო და ძმებო, ექვსი თვის უკან, როცა ჩვენ გენერალურ კონფერენციაზე ერთმანეთს შევხვდით, ჩემი საყვარელი მეუღლე, ფრენცისი, საავადმყოფოში იწვა იმის გამო, რომ სულ რამოდენიმე დღის წინ ცუდად წაიქცა. მაისში, რამოდენიმი კვირის შეუპოვარი ბრძოლის მიუხედავად, იგი მარადისობაში გადაინაცვლა. მე იგი უზომოდ მენატრება. ჩვენ 1948 წ. 7 ოქტომბერს სოლთ ლეიქ სითის ტაძარში დავქორწინდით. ხვალ ჩვენ ქორწინების 65-ე წლისთავს აღვნიშნავდით. იგი ჩემი ცხოვრების სიყვარული იყო, ჩემი მესაიდუმლე და უახლოესი მეგობარი. როცა ვამბობ, რომ იგი მენატრება, ეს ახლოც კი ვერ ასახავს ჩემი გრძნობების სიღრმეს.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა დევიდ ო. მაქქეიმ თორმეტ მოციქულთა ქვორუმში მომიწოდა, 50 წელი გავიდა. იმ დღიდან, მთელი წლების განმავლობაში მე მეუღლისგან მხოლოდ სრული მხარდაჭერა მქონდა. მრავალი მსხვერპლი გაიღო მან იმისთვის, რომ მე ჩემს მოწოდებაში მემსახურა. არასდროს არ გამიგონია მისგან წუწუნი იმის გამო, რომ ხშირად მიწევდა რამოდენიმე დღის და ზოგჯერ კვირის მანძილზეც მისგან და ჩვენი შვილებისგან შორს ყოფნა. იგი ნამდვილი ანგელოზი იყო.

მე მსურს ასევე გამოვხატო მადლიერება ჩემი ოჯახის წევრების მიმართ, მათგან გადმოფრქვეული სიყვარულის გამო, რომელიც მათგან მოდიოდა ფრენცისის გარდაცვალების შემდეგ. მთელი მსოფლიოდან იყო გამოგზავნილი ფრენცისის მიმართ ასობით სიყვარულის გამომხატველი, ჩვენი ოჯახისთვის კი სამძიმრის წერილები და ბარათები. ჩვენ მივიღეთ უამრავი ლამაზი თაიგული. ჩვენ მადლობლები ვართ ყველა იმ შემოწირულობისთვის, რომელიც გაკეთდა მის სახელზე ეკლესიის მისიონერულ ფონდში. მათი სახელით, ვინც ფრენცისმა აქ დატოვა, მე გიცხადებთ ღრმა მადლიერებას თქვენი კეთილი და გულითადი მხარდაჭერისთვის.

მასთან განშორების ამ გულისშემძვრელ დროს, ჩემი უდიდესი ნუგეში იყო იესო ქრისტეს სახარების მოწმობა და იმის ცოდნა, რომ ჩემი ძვირფასი ფრენცისი კიდევ ცოცხალია. მე ვიცი, რომ ჩვენი დაშორება დროებითია. ჩვენ ღვთის სახლში ჩაგვბეჭდა პიროვნებამ, რომელსაც აქვს დედამიწაზე და ზეცაში ჩაბეჭდვის უფლებამოსილება. მე ვიცი, რომ ჩვენ ერთ დღეს შევერთდებით და აღარ დავშორდებით ერთმანეთს. ეს ცოდნა მამხნევებს მე.

დებო და ძმებო, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ არ არსებობს ადამიანი, რომელსაც არ განუცდია მწუხარება და ტანჯვა; არც ისტორიულად არ ყოფილა ისეთი დრო, რომელშიც სიღატაკე და აურზაური სრულად არ იყო გამოვლენილი.

როცა ცხოვრების ბილიკი მკვეთრ მოსახვევს გვთავაზობს, ჩნდება ცდუნება დავსვათ კითხვა: „რატომ მე“? ზოგჯერ ისეთი შეგრძნებაა, რომ გვირაბის ბოლოს სინათლე არ არის და ღამის სიბნელე მზის ამოსვლით

არ დასრულდება. ჩვენ გარშემორტყმულნი ვართ შეუსრულებელი ოცნებებითა და ფუჭი იმედებით. ჩვენ ვუერთდებით ბიბლიურ შემოძახილს: „განა არ არის მალამო გილყადში“?[1] ჩვენ თავს მიტოვებულად, გულგატეხილად, მარტოდ ვგრძნობთ. ჩვენ პირად უბედურებას პესიმიზმის გამრუდებულ პრიზმაში ვხედავთ. ჩვენ მოუთმენელნი ვხდებით ჩვენი პრობლემების მოგვარების სურვილში და გვავიწყდება, რომ ხშირად მოთმინების ღვთაებრივი კეთილშობილებაა საჭირო.

სირთულეები, რომლების წინაშეც აღმოვჩნდებით, ჩვენი გამძლეობის შესაძლებლობების შემოწმებას წარმოადგენენ. ყოველი ჩვენგანის წინაშე დგება ძირითადი კითხვა: უკან დავიხიო თუ ბოლომდე მივიყვანო? ზოგიერთი ადამიანი უკან იხევს, როცა სირთულეებს ვერ უმკლავდება. ბოლომდე მიყვანა მოიცავს სიცოცხლის ბოლომდე გაძლებას.

როცა ვუფიქრდებით იმ მოვლენებს, რომლებიც შეიძლება ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში მოხდეს, ჩვენ შეგვიძლია იობის გამონათქვამი გავიზიაროთ და ვთქვათ: „ადამიანი ტანჯვისთვის იბადება.“[2] იობი „ალალი და წრფელი“ კაცი იყო, „ღვთისმოშიში, ბოროტებას განრიდებული.“[3] საქციელში მართალი, ქონებაში აყვავებული, იობი ისეთი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა, რომელიც ნებისმიერ ადამიანს გაანადგურებდა. ქონება წართმეულს, მეგობრებისგან მოძულებულს, ტანჯვისგან გაწამებულს, ოჯახის დაკარგვის გამო შერყეულს, მას აიძულებდნენ: „დაგმე ღმერთი და მოკვდი“.[4] იგი განუდგა ამ ცდუნებას და თავისი კეთილშობილი სულის სიღრმიდან განაცხადა:

„აჰა, ცაშია ჩემი მოწმე, ჩემი ქომაგი მაღალთა შინაა.“[5]

„მე ვიცი, ცოცხალია ჩემი მხსნელი.“[6]

იობმა რწმენა შეინარჩუნა. ჩვენც ასე მოვიქცევით, როცა სირთულეების წინაშე აღმოვჩნდებით?

ყოველთვის, როცა ცხოვრების დარტყმების გამო დამძიმებულნი ვართ, მოდით გვახსოვდეს, რომ სხვებმაც ეს გზა გამოიარეს, გაუძლეს და გადალახეს.

ეკლესიის ისტორია ამ დროთა სისრულის ჟამს, ითვლის იმ ადამიანების უამრავ მაგალითს, რომლებიც სირთულეების წინაშე იდგნენ, მაგრამ მაინც მყარად და მხნედ იყვნენ. რა არის ამის მიზეზი? მათ იესო ქრისტეს სახარება ცხოვრების ცენტრალურ ნაწილად გახადეს. ეს არის ის, რაც ნებისმიერი პრობლემიდან ამოგვიყვანს. ჩვენ ისევ სირთულეების წინაშე აღმოვჩნდებით, მაგრამ შევძლებთ თვალებში ჩავხედოთ მათ, თავაწეულნი ვიდგეთ და გავიმარჯვოთ მათზე.

ტკივილისგან საწოლს მიჯაჭვულნი, ცრემლებით დასველებულ ბალიშიდან ჩვენ ზეცისკენ გვიზიდავს ღვთიური დარწმუნებულობა და ძვირფასი დაპირება: „არ მიგატოვებ და თავს არ დაგანებებ.“[7] ასეთი ნუგეში შეუფასებელია.

ჩემს მოწოდებასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა გამო მე მიწევდა მთელს მსოფლიოში მოგზაურობა. ამის წყალობით მე იმდენი რამ შევიმეცნე, მათ შორის ისიც, რომ ტანჯვა და სევდა უნივერსალური გრძნობებია. მე ვერ აღვწერ იმ გულისტკივილსა და სევდას, რომლის მომსწრე გავხდი, როცა ვსტუმრობდი მათთან, ვინც გლოვობდა, ავადმყოფობდა, განქორწინების წინაშე იდგა, შვილთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა ან ცოდვის შედეგებს მოიმკიდა. ეს ჩამონათვალი შეიძლება უსაზღვროდ გავაგრძელო, რადგან შესაძლოა, უამრავი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდეთ. მართალია, ერთი მაგალითის ამორჩევა ძნელია, მაგრამ მაინც, ყოველთვის, როცა სირთულეებზე ვფიქრობ, მე ძმა ბრემი მომდის აზრად. ეს იყო ეკლესიის ერთგული წევრი, ადამიანი ოქროს გულით და სიჭაბუკეში ჩემი საკვირაო სკოლის მასწავლებელი. მას და მის მეუღლეს, სადის, რვა შვილი ჰყავდათ, უმეტესობა ჩემი ძმებისა და დების ასაკში იყვნენ.

მას შემდეგ, რაც მე და ფრენცისი შევუღლდით და მეურვეობიდან გადავედით, ჩვენ და და ძმა ბრემსს, ასევე მათი ოჯახის წევრებს, ქორწილებსა და დაკრძალვებზე ან მრევლის ღონისძიებებზე ვხვდებოდით.

1968 წ. ძმა ბრემსის მეუღლე, სადი, გარდაიცვალა. მისი რვა შვილიდან ორი ასევე გარდაიცვალა წლების განმავლობაში.

ერთხელ, დაახლოებით 13 წლის წინ, ძმა ბრემსის უფროსმა შვილიშვილმა დამირეკა. მან მითხრა, რომ პაპამისი 105 წლის გახდა. მან თქვა: „იგი პატარა მოხუცებულთა სახლში ცხოვრობს, მაგრამ ყოველ კვირას მთელ ოჯახს ხვდება, სადაც სახარებიდან გაკვეთილს ატარებს“. მან გააგრძელა — „გასულ კვირას პაპამ გამოგვიცხადა: ‘ჩემო ძვირფასებო, ამ შაბათ-კვირას გარდავიცვლები. გთხოვთ, დაურეკეთ ტომი მონსონს, მან იცის, რა უნდა გააკეთოს’“.

მე ძმა ბრემსი მეორე დღისითვე მოვინახულე. იგი კარგა ხნის უნახავი მყავდა. მე მას ვერ ვესაუბრებოდი, რადგან მან სმენადობა დაკარგა. ვერც წერილს ვწერდი, რადგან მხედველობა აღარ ჰქონდა. მე მითხრეს, რომ ოჯახის წევრები მას მარჯვენა ხელის თითით მარცხენა ხელის გულზე მნახველის სახელს უწერდნენ. ნებისმიერი გზავნილიც ამავე ხერხით გადაეცემოდა მას. მეც ასე მოვიქეცი: მისივე თითით ხელის გულზე „თ-ო-მ-ი მ-ო-ნ-ს-ო-ნ“ დავუწერე, რადგან ზუსტად ამ სახელით მიცნობდა იგი. ძმა ბრემსი აღელვდა და ჩემი ხელები თავზე დაიდო. მე ვიცოდი, რომ მას სამღვდელოების კურთხევის მიღება სურდა. მძღოლი,

რომელმაც მოხუცებულთა სახლში მიმიყვანა, შემომიერთდა და ჩვენ ძმა ბრემსს ერთად დავასხით ხელები თავზე და ვაკურთხეთ. მას უსინათლო თვალებიდან ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოუვიდა. მან მადლიერებით ჩაგვჭიდა ხელები. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ესმოდა კურთხევის სიტყვები, სულიწმინდა ძლიერად იგრძნობოდა და მე მჯერა, რომ მან შთაგონებით იცოდა, რომ საჭირო კურთხევა მიიღო. ეს კეთილი ადამიანი ვეღარ ხედავდა. მას ყურში არ ესმოდა. იგი მთელი დღის განმავლობაში შემოსაზღვრული იყო მოხუცებულთა სახლის პატარა ოთახით, მაგრამ მისი ღიმილი და სიტყვები გულში ჩამწვდა. „გმადლობთ“, — თქვა მან. „მამაზეციერი ისეთი კეთილია ჩემს მიმართ“.

ერთი კვირის განმავლობაში ძმა ბრემსი, საკუთარი წინასწარმეტყველების თანახმად, გარდაიცვალა. იგი არასდროს არ იყო მიჯაჭვული იმაზე, რაც აკლდა; პირიქით, იგი ყოველთვის დიდად მადლობელი იყო მრავალი ლოცვა-კურთხევებისთვის.

ჩვენმა მამაზეციერმა, რომელიც ამდენს გვაძლევს გასახარებლად, ასევე იცის, რომ ჩვენ ვსწავლობთ და ვიზრდებით, როცა გადასალახი სირთულეების წინაშე აღმოვჩნდებით. ჩვენ ვიცით, რომ იქნება დრო, როცა გულგატეხილნი ვიქნებით, ან ვიგლოვებთ, ან ჩვენი შესაძლებლობების ზღვარზე გამოგვცდიან. მიუხედავად ამისა, ასეთი სირთულეები გვაძლევს შესაძლებლობას უკეთესობისკენ შევიცვალოთ, გადავაკეთოთ ცხოვრება მამაზეციერის სწავლებების მიხედვით და შევცვალოთ საკუთარი თავი — გავხდეთ ადრინდელთან შედარებით უკეთესნი, უფრო გამგებნი, ვიქონიოთ უფრო მეტი თანაგრძნობა და უფრო ძლიერი მოწმობა.

ეს უნდა იყოს ჩვენი მიზანი — გავხდეთ შეუპოვარნი და გამძლენი, მაგრამ ასევე გავხდეთ სულიერად უფრო სუფთანი, როცა მზესა და მწუხარებაში გზას ვიკაფავთ. რომ არა სირთულეები და პრობლემები, ჩვენ ისეთები დავრჩებოდით, როგორნიც ვართ, მარადიული ცხოვრებისკენ მიმავალ მიზანში მცირე ან ნულოვანი წინსვლით. პოეტმა ეს აზრი გამოხატა შემდეგი სიტყვებით:

კარგი ტყე ადვილად არ იზრდება,
რაც უფრო ძლიერია ქარი, მით უფრო ძლიერდება ხე.
რაც უფრო შორია ცა, მით უფრო მაღალია ხე,
რაც უფრო ძლიერია ქარიშხალი, მით უფრო მეტია ძალა.
მზეზე და სიცივეში, წვიმაში და თოვლში,
ხეებსა და ადამიანებში, ტანადობა ყალიბდება.[8]

მხოლოდ მოძღვარმა იცის ტკივილის, სირთულეებისა და ჩვენი ტანჯვის სიღრმე. მხოლოდ იგი გვთავაზობს მარადიულ სიმშვიდეს უბედურების ჟამს. მხოლოდ მას შეუძლია შეეხოს ჩვენს ტანჯულ სულებს თავისი მანუგეშებელი სიტყვებით:

„მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ.

„იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ, და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს.

„ვინაიდან ჩემი უღელი ადვილია და ჩემი ტვირთი — მსუბუქი.“[9]

ვიმყოფებით რა საუკეთესო თუ მძიმე დროში, უფალი ჩვენთან არის. იგი დაგვპირდა, რომ მისი ნება არასდროს არ შეიცვლება.

ჩემო დებო და ძმებო, მოდით დავდოთ ვალდებულება მამაზეციერთან, რომელიც არ იცვლება წლების მანძილზე ან ჩვენი ცხოვრების კრიზისის გამო. არ არის საჭირო, გამოვიაროთ სირთულეები იმისთვის, რომ გავიხსენოთ იგი და სანამ თავს დავუმორჩილებთ, რწმენა და ნდობა უნდა ვაჩვენოთ მას.

მოდით მუდამ ვეცადოთ მამაზეციერთან ახლოს ვიყოთ. ამისთვის უნდა ყოველდღიურად ვილოცოთ და ვუსმინოთ მას. ჩვენ იგი ჭეშმარიტად ყოველ წუთს გვჭირდება, წვიმასა თუ მზეში. დაე მისი დაპირება იყოს ჩვენი დევიზი: „არ მიგატოვებ და თავს არ დაგანებებ.“[10]

მთელი ჩემი სულის ძალით, მე ვმოწმობ, რომ ღმერთი ცოცხალია და ჩვენ მას ვუყვარვართ, რომ მისი მხოლოდშობილი ძე ჩვენთვის ცხოვრობდა და მოკვდა, და რომ იესო ქრისტეს სახარება არის ის გამჭოლი სინათლე, რომელიც ჩვენი ცხოვრების სიბნელეში ანათებს. იმისთვის, რომ ეს მარად ასე იყოს, მე ვლოცულობ იესო ქრისტეს წმინდა სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. იერემია 8:22
2. იობი 5:7
3. იობი 1:1
4. იობი 2:9
5. იობი 16:19
6. იობი 19:25.
7. იესო ნაველი 1:5
8. Douglas Malloch, “Good Timber,” in Sterling W. Sill, *Making the Most of Yourself* (1971), 23.
9. მათე 11:28.
10. იესო ნაველი 1:5

სადღეისო სწავლება

მეოთხე კვირის მელქიცედეკის მღვდლობისა და მოწყალების საზოგადოების გაკვეთილები უნდა მიეძღნას „სადღეისო სწავლებას“. ყოველი გაკვეთილი შეიძლება მომზადდეს სულ ბოლოს ჩატარებული გენერალური კონფერენციის მასალების გამოყენებით (იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი). პალოსა და ოლქის პრეზიდენტებს შეუძლიათ თავად აირჩიონ გამოსვლა ან მისცენ ეს დავალება ეპისკოპოსებსა ან მრევლის პრეზიდენტებს. ხელმძღვანელებმა ხაზი უნდა გაუსვან თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ მელქიცედეკის მღვდლობის ძმებმა და მოწყალების საზოგადოების დებმა შეისწავლონ იგივე გამოსვლები იმავე კვირას.

ისინი, ვინც მეოთხე კვირის გაკვეთილებს ესწრებიან, უნდა გავამხნევოთ შეისწავლონ და გაკვეთილზე მოიტანონ ჟურნალებში გამოქვეყნებული ბოლო კონფერენციის მასალები.

რჩევები კონფერენციის მასალებით გაკვეთილების მოსამზადებლად

ილოცეთ მასზედ, რომ თქვენი კონფერენციების მასალების შესწავლისა და გადმოცემის დროს, სული წმინდა თქვენთან იმყოფებოდეს. შესაძლოა გაგიჩნდეთ ცდუნება მოამზადოთ გაკვეთილი სხვა მასალების გამოყენებით, მაგრამ კონფერენციის გამოსვლები მოწონებულია სასწავლო პროგრამით. თქვენი დავალებაა დაეხმაროთ სხვებს ისწავლონ სახარება და იცხოვრონ მისი პრინციპების მიხედვით ისე, როგორც ეს გვასწავლეს ეკლესიის ბოლო გენერალურ კონფერენციაზე.

განიხილეთ გამოსვლები, ეძიეთ მათში ის პრინციპები და სწავლებანი, რომლებიც აკმაყოფილებენ მსმენელთა მოთხოვნილებებს. მოიძიეთ მოთხრობები, წმინდა წერილების ნაწყვეტები და გამოსვლებიდან ის მტკიცებულებანი, რომლებიც დაგეხმარებათ ამ ჭეშმარიტებების სწავლებაში.

თქვენთვის შეადგინეთ გეგმა, თუ როგორ ასწავლოთ პრინციპები და მოძღვრება. ჩართეთ შეკითხვები, რომლებიც დაეხმარება მოწაფეებს:

- გამოსვლებში ეძიონ პრინციპები და მოძვღრება.
- იფიქრონ მათ მნიშვნელობაზე.
- გაუზიარონ სხვებს იდეები, გამოცდილება და დამოწმებანი.
- მოარგონ ეს პინციპები და მოძღვრება მათ ცხოვრებას.

თვეები, რომლებშიც გაკვეთილები ტარდება	მეოთხე კვირის გაკვეთილის მასალა
ოქტომბერი 2013–აპრილი 2014	გამოსვლები 2013 წ. ოქტომბრის გენერალურ კონფერენციაზე*
აპრილი 2014–ოქტომბერი 2014	გამოსვლები 2014 წ. აპრილის გენერალურ კონფერენციაზე*

** აპრილისა და ოქტომბრის მეოთხე კვირის გაკვეთილებისთვის შეგიძლიათ ამოირჩიოთ გამოსვლები წინა ან ბოლო კონფერენციიდან. ეს გამოსვლები მრავალ ენაზე შეგიძლიათ ნახოთ conference.lds.org.*

© 2013 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი *First Presidency Message, November 2013.* Georgian. 10671 131

პრეზიდენტი დიტერ ფ. უხთდორფის მიერ
პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველი

შემოგვიერთდით

მიუხედავად თქვენი პირადი ისტორიის, ვითარებისა ან მოწმობის სიმტკიცისა, ეკლესიაში თქვენთვის ყოველთვის მოიძებნება ადგილი.

Oყო ადამიანი, რომელსაც დაესიზმრა, რომ იმყოფებოდა დერეფანში, სადაც მსოფლიოს ყველა რელიგიამ მოიყარა თავი. იგი მიხვდა, რომ ყოველ რელიგიას რაღაც ღირსეული და სასურველი ჰქონდა.

იგი შეხვდა მშვენიერ წყვილს, უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წარმომადგენლებს და ჰკითხა მათ; „რას *მოითხოვთ* თქვენი წევრებისაგან?“

„*ჩვენ* არაფერს არ მოვითხოვთ“, — გვიპასუხეს მათ. „მაგრამ *უფალი* მოითხოვს ყველაფრის მიძღვნას“.

წყვილმა მოუთხრო მას საეკლესიო მოწოდებების შესახებ, მოუყვა შინა მასწავლებლის და სტუმრად მოსული მასწავლების პროგრამებზე, სრული დროის მისიონერებზე, სატაძრო სამუშაოზე, კეთილდღეობისა და ჰუმანიტარული სამსახურის შესახებ და იმ დავალებებზე, რომლებიც ეძლევათ სხვათა სწავლებისათვის.

„თქვენ უხდით ადამიანებს შესრულებული სამუშაოსთვის?“ — ჰკითხა კაცმა.

„არა“, — უპასუხა წყვილმა. „ისინი საკუთარი ნებით წირავენ დროს“.

„ამის გარდა“, — დაამატა წყვილმა, „ყოველ 6 თვეში ჩვენი ეკლესიის წევრები შაბათ-კვირის 10 საათს გენერალური კონფერენციის დასწრებას ან მოსმენას უთმობენ“.

„ათი საათის განმავლობაში ადამიანები სიტყვით გამოდიან?“ — გაიკვირვა მამაკაცმა.

„თქვენი ყოველკვირეული საეკლესიო მსახურების შესახებ რას იტყვით? რამდენ ხანს გრძელდება ის?“

„სამი საათი, ყოველ კვირას!“

„უი“, შეიცხადა მან. „თქვენი ეკლესიის წევრები აკეთებენ იმას, რასაც ეუბნებით?“

“იმაზე მეტსაც. ჩვენ არაფერი არ გვითქვამს საოჯახო ისტორიაზე, ახალგაზრდულ ბანაკებზე, ლოცვებზე, წმინდა წერილის შესწავლაზე, ხელმძღვანელთა ტრენინგებზე, ახალგაზრდების ღონისძიებებზე, დილის სემინარიაზე, საეკლესიო შენობების მოწესრიგებაზე და რა თქმა უნდა, კიდევ არსებობს ჯანმრთელობის უფლის კანონი, ყოველთვიური მარხვა გაჭირვებულთა დასახმარებლად და მეათედი.“

მამაკაცმა თქვა: „ახლა დავიბენი. რატომ მოინდომებს ვინმე ასეთი ეკლესიის წევრობას?“

მეუღლეებმა გაუღიმეს და უპასუხეს: „ჩვენ გვეგონა, რომ არ შეგვეკითხებოდით“.

რატომ შეურთდება ვინმე ასეთ ეკლესიას?

იმ დროს, როცა მსოფლიოში უამრავი ეკლესიის მრევლი კლებულობს, უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესია, სხვებთან შედარებით მაინც პატარა, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკლესიაა. 2013 წ. სექტემბრის მონაცემებით, მთელს მსოფლიოში ეკლესია ითვლის 15 მილიონ წევრს.

საამისოდ რამოდენიმე მიზეზი არსებობს, მაგრამ ნება მომეცით ორიოდე წარმოგიდგინოთ.

მხსნელის ეკლესია

პირველი: ეს ეკლესია ჩვენს დღეებში აღადგინა თვითონ იესო ქრისტემ. აქ თქვენ იპოვით უფლებამოსილებას, მონათლოთ ადამიანები ცოდვების მისატევებლად, გადასცეთ მათ წმინდა სულის ძღვენი და ჩაბეჭდოთ ისინი დედამიწაზე და ზეცაში.[1]

მათ, ვინც ეკლესიის წევრები ხდებიან, უყვართ მხსნელი იესო ქრისტე და სურთ, მიყვნენ მას. ისინი ხარობენ იმის ცოდნით, რომ ღმერთი კვლავ ესაუბრება კაცობრიობას. როცა ისინი

იღებენ წმინდა მღვდლობის წესჩვეულებებს და ღმერთის წინაშე დებენ აღთქმას, მათ შეუძლიათ იგრძნონ მისი ძალა საკუთარ ცხოვრებაში.[2] როცა ისინი წმინდა ტაძარში შედიან, გრძნობენ, რომ მის გარემოცვაში იმყოფებიან. როცა ისინი წმინდა წერილს[3] კითხულობენ და უფლის წინასწარმეტყველების სწავლებების მიხედვით ცხოვრობენ, ისინი უახლოვდებიან მხსნელს, რომელიც მათ ასე ძალიან უყვართ.

აქტიური რწმენა

კიდევ ერთი მიზეზია ის, რომ ეკლესია აძლევს ადამიანებს სიკეთის კეთების საშუალებას.

ღვთის რწმენა ქების ღირსია, მაგრამ ადამიანების უმეტესობას სურს გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე სულისასამაღლებელი ქადაგებების მოსმენა ან მათი ზეციური სასუფევლის შესახებ ოცნება. მათი სურვილია — პრაქტიკაში გამოიყენონ საკუთარი რწმენა.[4] მათ სურთ დაიკაპიწონ ხელები და გახდნენ ამ დიდი საქმის მონაწილენი.

აი რა ხდება, როცა ისინი გვიერთდებიან. მათ უჩნდებათ უამრავი საშუალება მიმართონ საკუთარი ნიჭი, თანაგრძნობა და დრო კეთილი საქმისკენ. რადგან ჩვენ მსოფლიოს მასშტაბით არ გვყავს ანაზღაურებადი მსახურები, ჩვენი მრევლი თავად ასრულებს მსახურების საქმეს. მათ ირჩევენ შთაგონებით. ზოგჯერ ჩვენ საკუთარი სურვილით ვაკეთებთ საქმეს; ზოგჯერ კი *„ჩვენი ნებით გვაკეთებინებენ“* ჩვენ ვუყურებთ დავალებას არა როგორც ტვირთს, არამედ საშუალებას, შევასრულოთ აღთმა, რომელიც სიხარულით დავდეთ, რომ ვემსახურებით ღმერთს და მის შვილებს.

ძვირფასი ლოცვა-კურთხევები

ადამიანების ეკლესიაში გაწევრიანების მესამე მიზეზია ის, რომ მოწაფის გზაზე სიარულს ძვირფას კურთხევამდე მივყავართ.

ჩვენ ვუყურებთ ნათლობას, როგორც მოწაფეობის გზაზე მოგზაურობის საწყის წერტილს. ჩვენს ყოველდღიურ სიარულს იესო ქრისტეს გვერდში, მივყავართ მშვიდობისკენ და მიზნისკენ ამ ცხოვრებაში და დიდი სიხარულისკენ და მარადიული ხსნისკენ იმიერ სამყაროში.

ისინი, ვინც ამ გზას ერთგულად მისდევენ, მრავალ მახეს, წუხილსა და სინანულს არიდებენ თავს.

ღარიბნი სულით და მართალნი გულით აქ ცოდნის დიდ განძს პოულობენ.

მგლოვიარენი ან ტანჯულნი აქ განკურნებას პოულობენ.

ცოდვით დამძიმებულნი პოულობენ მიტევებას, თავისუფლებას და სიმშვიდეს.

მათ, ვინც მიდიან

ჭეშმარიტების ძიებამ მილიონობით ხალხი უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიამდე მიიყვანა. თუმცა არიან ისეთნიც, რომლებმაც დატოვეს ეკლესია, რომელიც მათ ოდესღაც უყვარდათ.

შესაძლოა ვინმემ დასვას კითხვა: „თუ სახარება ასე მშვენიერია, რატომ მიდის ადამიანი ეკლესიიდან“?

ჩვენი აზრით, ზოგჯერ ეს ხდება იმიტომ, რომ მათ რაღაც ეწყინათ ან ზარმაცობენ ან ცოდავენ. სინამდვილეში ეს არც თუ ისე ადვილია. ფაქტიურად, სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა მიზეზთან გვაქვს საქმე.

ზოგიერთ ჩვენს ძვირფას წევრს წლების განმავლობაში ვერ გადაუწყვეტია, უნდა დატოვოს ეკლესია თუ არა.

ამ ეკლესიაში, სადაც ასე ძალიან პატივს სცემენ პირად არჩევანს, რომელიც აღდგენილ იქნა ახალგაზრდა მამაკაცის მიერ, ვინც დასვა კითხვა და ეძებდა პასუხს, ჩვენ პატივს ვცემთ მათ, ვინც პატიოსნად ეძიებს ჭეშმარიტებას. მათ შეიძლება გული გვატკინონ, თუ ეს ძიება მათ წაიყვანს იმ ეკლესიიდან, რომელიც ჩვენ გვიყვარს და იმ ჭეშმარიტებისგან, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ, მაგრამ ჩვენ პატივს ვცემთ მათ უფლებას თაყვანი სცენ ყოვლადშემძლე ღმერთს მათი საკუთარი ცნობიერების თანახმად, ზუსტად ისე, როგორც ჩვენ ვაცხადებთ ამის პრივილეგიას.[5]

კითხვები პასუხების გარეშე

ზოგიერთნი იტანჯებიან იმ პასუხგაუცემელი კითხვების გამო, რაც წარსულში ჩადენილს ან ნათქვამს ეხება. ჩვენ ღიად ვაღიარებთ, რომ დაახლოებით 200 წლის ეკლესიის ისტორიის განმავლობაში და შთაგონებული, პატივსაცემი და ღვთიური მოვლენების ფონზე თქმულა და გაკეთებულა ისეთი რაღაცეები, რაც ადამიანებს კითხვებს გაუჩენდა.

ზოგჯერ კითხვები ჩნდება მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ უბრალოდ არ გაგვაჩნია სრული ინფორმაცია და მეტი მოთმინება გვჭირდება. როცა საბოლოოდ გაირკვევა სრული სიმართლე, ის, რაც ჩვენთვის გაუგებარი იყო, გასაგები გახდება.

ზოგჯერ არის აზრთა სხვაობა იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში „ფაქტები“. კითხვა, რომელიც ზოგიერთ ადამიანში ეჭვს იწვევს, საფუძვლიანი ძიების შემთხვევაში სხვებში რწმენას იწვევს.

არასრულყოფილი ადამიანების კითხვები

და სულ გულწრფელად რომ ვთქვათ, ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა ეკლესიის წევრები ან ხელმძღვანელები უბრალოდ შეცდომებს უშვებდნენ. თქმულა ან გაკეთებულა ისეთი რაღაცეები, რაც არ იყო ჰარმონიაში ჩვენს ფასეულობებთან, პრინციპებთან ან სწავლებასთან.

ალბათ ეკლესია სრულყოფილი იქნებოდა, თუკი სრულყოფილი ადამიანების მიერ იქნებოდა მართული. ღმერთი სრულყოფილია და მისი დოქტრინაც სუფთაა. მაგრამ იგი ჩვენი მეშვეობით

მოქმედებს, ვინც მისი არასრულყოფილი შვილები ვართ, არასრულყოფილი ადამიანები კი შეცდომებს უშვებენ.

მორმონის წიგნის წინა გვერდზე ვკითხულობთ: „აჰა, თუ იქნება შეცდომები, ეს ადამიანების შეცდომებია; ასე რომ, ნუ განიკითხავთ ღვთის საქმენს, რამეთუ უმწიკვლონი იდგეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე“.[6]

ეს ყოველთვის ასე იყო და ასე იქნება, სანამ არ დადგება ის სრულყოფილი დღე, როცა თვითონ ქრისტე პირადად იმეფებს დედამიწაზე.

დასანანია, რომ ზოგი წაბორძიკდა ადამიანების მიერ დაშვებული შეცდომების გამო. მაგრამ მიუხედავად ამისა, უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიაში ნაპოვნი მარადიული ჭეშმარიტება არ უფერულდება, არ მცირდება და არც ნადგურდება.

როგორც უფალი იესო ქრისტეს მოციქული და ადამინი, რომელსაც პირველწყაროდან მიუღია რჩევა და ამ ეკლესიის მუშაობის პრინციპები, მე საზეიმოდ ვმოწმობ, რომ არც ერთი ეკლესიისთვის ან მისი წევრებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიიღება იმის გარეშე, რომ მხურვალედ არ ეძიონ შთაგონება, რჩევა და მარადიული მამის თანხმობა. ეს იესო ქრისტეს ეკლესიაა. ღმერთი არ დაუშვებს იმას, რომ მისმა ეკლესიამ დანიშნულების კურსიდან გადაუხვიოს ან მის დანიშნულებაში განიცადოს მარცხი.

თქვენთვის არის ადგილი

მათ, ვინც ეკლესიას გაემიჯნა, ვეტყვი: ჩემო ძვირფასო მეგობრებო, აქ თქვენთვის კიდევ არის ადგილი.

მოდით და შეგვმატეთ თქვენი ნიჭი, უნარი და ენერგია. ამის შედეგად ჩვენ ყველანი უკეთესნი გავხდებით.

ზოგიერთმა შეიძლება იკითხოს: „ჩემს ეჭვებზე რას იტყვით“?

ბუნებრივია იქონიო შეკითხვები. პატიოსანი ძიების რკოდან ხშირად ყლორტი ამოდის, რომელიც შემდეგ გააზრების დიდებულ მუხად გადაიქცევა. არიან ისეთი წევრებიც, რომლებიც არ ჩაფიქრებულან სერიოზულ ან მგრძნობიარე საკითხებზე. ეკლესიის ერთ-ერთი მიზანია კვებოს და გააღვივოს რწმენის თესლი ზოგჯერ ეჭვებისა და მერყეობის ქვიშიან ნიადაგზეც კი . რწმენა არის გწამდეს ის, რაც უხილავია, მაგრამ იცი, რომ ჭეშმარიტია.[7]

ასე რომ, ჩემო ძვირფასო დებო და ძმებო, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, გთხოვთ, სანამ თქვენს რწმენაში დაეჭვდებით, ჯერ თქვენს ეჭვებში დაეჭვდით.[8] ჩვენ არ უნდა გავხდეთ ეჭვების ტყვენი და არ უნდა მივცეთ მათ ნება შეგვაკავონ ღვთიური სიყვარულის, სიმშვიდისა და ძღვენისაგან, რომლებიც მოდიან უფალი იესო ქრისტეს რწმენის მეშვეობით.

ზოგმა შეიძლება თქვას: „მე არ შევესაბამები ეკლესიის ხალხს.“

თქვენ რომ ჩვენს გულში ჩაგეხედათ, ალბათ დაინახავდით, რომ იმაზე მეტად შეგვესაბამებით, ვიდრე წარმოგიდგენიათ. ალბათ გაგიკვირდებათ, რომ ჩვენც თქვენნაირი სურვილები, იმედები და სირთულეები გვაქვს. თქვენი წარსული ან აწმყო შეიძლება თქვენს თვალში უმეტესი უკანასკნელი დღეების წმინდანებისგან ძალიან განსხვავდებოდეს, მაგრამ ეს შეიძლება თქვენი დალოცვა იყოს. დებო და ძმებო, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ გვჭირდება თქვენი უნიკალური ნიჭი და ხედვა. განსხვავებული ადამიანები და პიროვნებები მთელს სამყაროში წარმოადგენენ ამ ეკლესიის ძალას.

ზოგიერთმა შეიძლება თქვას: „არ მგონია, რომ შევძლო მივწვდე თქვენს სტანდარტებს.“

ეს ჩვენთან მოსვლის ყველაზე დიდი მიზეზია! ეკლესია შექმნილია არასრულყოფილთა აღზრდის მიზნით, მძიმე მდგომარეობაში მყოფთა და დაქანცულთათვის. ის სავსეა ხალხით, ვისაც მთელი გულით *სურთ* მცნებების დაცვა, თუმცა ჯერ ამის *ოსტატები* არ გამხდარან.

შეიძლება ზოგიერთმა თქვას: „მე ვიცნობ თქვენი ეკლესიის წევრს, იგი თვალთმაქცია. მე არასდროს არ შევუერთდები ეკლესიას, სადაც მისი მსზავსი წევრია.“

თუ განსაზღვრავთ თვალთმაქცს როგორც ადამიანს, რომელიც სრულყოფილად ვერ ასრულებს ცხოვრებაში იმას, რისიც სწამს, მაშინ ჩვენ ყველანი თვალთმაქცნი ვართ. არც ერთი ჩვენგანი არ არის ქრისტეს მსგავსი იმ დონემდე, რა დონემდეც ჩვენ ვიცით, რომ უნდა ვიყოთ. მაგრამ ჩვენ გულწრფელად გვსურს დავძლიოთ დანაშაული და ჩვენი მიდრეკილება ცოდვისკენ. ჩვენ მთელი გულითა და სულით მივისწრაფვით იმისკენ, რომ იესო ქრისტეს გამოსყიდვის დახმარებით გავხდეთ უკეთესნი.

თუ ეს თქვენი სურვილებია, მაშინ მიუხედავად ვითარების, პირადი ისტორიის ან მოწმობის სიმტკიცისა, ამ ეკლესიაში თქვენთვის არის ადგილი. შემოგვიერთდით!

შემოგვიერთდით!

ჩვენი ადამიანური არასრულყოფილებების მიუხედავად მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამ ეკლესიის წევრებს შორის იპოვით უამრავ მშვენიერ სულს. იესო ქრისტეს ეკლესია იზიდავს კეთილ, მზრუნველ, პატიოსან და ბეჯით ადამიანებს.

თუ ელით იმას, რომ აქ სრულყოფილ ადამიანებს იპოვით, თქვენ დიდი იმედგაცრუება გელით. მაგრამ თუ ეძებთ ქრისტეს სუფთა დოქტრინას, ღვთის იმ სიტყვას, „რომელიც კურნავს დაჭრილ სულს“[9] და სული წმინდის განწმენდ ზეგავლენას, მაშინ ზუსტად აქ იპოვით მათ. ახლა, როცა რწმენამ ასე იკლო, როცა

ამდენნი ზეციური მფარველობ იდან შორს გრძნობენ თავს, აქ თქვენ იპოვით ადამიანებს, რომ ლებიც მიისწრაფვიან იმისკენ, რომ გაიცნონ მაცხოვარი და მიუ ახლოვდენ მას ღვთის მსახურებითა და მოყვასის მსახურებით, ისეთის, როგორიც თქვენ ხართ. შემოგვიერთდით!

თქვენც ხომ არ გინდათ წასვლა?

მე მახსენდება მაცხოვრის ცხოვრებიდან ის დრო, როცა მრავალმა მიატოვა იგი.[10] იესომ ჰკითხა თავის თორმეტ მოციქულს:

„თქვენც ხომ არ გინდათ წასვლა?

„მიუგო მას სიმონ-პეტრემ: უფალო, ვისთან უნდა წავიდეთ? საუკუნო სიცოცხლის სიტყვები შენ გაქვს“.[11]

არის დრო, როცა ჩვენ ასეთ-სავე კითხვას უნდა ვუპასუხოთ. ჩვენც გვინდა წასვლა? თუ პეტრეს ნაირად, მარადიული ცხოვრების სიტყვებს გვინდა ჩავეჭიდოთ?

თუ თქვენ ეძებთ ჭეშმარიტებას, აზრს და რწმენის მოქმედებაში გარდაქმნის გზას; თუ ეძებთ თქვენთვის ადგილს — შემოგვიერთდით!

თუ დაკარგეთ რწმენა, რომელიც ადრე გქონდათ: დაბრუნდით. შემოგვიერთდით!

თუ იმის ცდუნების წინაშე დგახართ, რომ დანებდეთ, ცოტაც გაუძელით. აქ თქვენთვის არის ადგილი.

მე ვევედრები ყველას, ვინც კითხულობს ამ სიტყვებს ან ესმის ისინი: შემოგვიერთდით. მოდით, მოისმინეთ ქრისტეს ძახილი. აიღეთ თქვენი ჯვარი და მიჰყევით მას.[12]

შემოგვიერთდით! რადგან აქ იპოვით იმას, რაც შეუფასებელია.

მე ვმოწმობ, რომ აქ თქვენ იპოვით მარადიული ცხოვრების სიტყვებს, დალოცვილი გამოსყიდვის დაპირებას და მშვიდობისკენ და ბედნიერებისკენ მიმავალ გზას.

მე მხურვალედ ვლოცულობ იმაზედ, რომ თქვენმა ჭეშმარიტების პირადმა ძიებამ გაგრძნობინოთ გულში სურვილი, შემოგვიერთდეთ ჩვენ. იესო ქრისტეს წმინდა სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. იხ. მათე 16:18–19; ჰელამანი 10:7.
2. იხ. მოძღვრება და აღთქმები 84:20.
3. იხ. 2 ნეფი 33:10.
4. იხ. “Have I Done Any Good?” *ჰიმნები,* no. 223.
5. იხ. რწმენის სიმბოლოები 1:11.
6. მორმონის წიგნის პირველი გვერდი; იხ. მორმონი 8:17.
7. იხ. ებრაელთა 11:1; ალმა 32:21.
8. იხ. F. F. Bosworth, *Christ the Healer* (1924), 23.
9. იაკობი2:8.
10. იხ.იოანე 6:66.
11. იოანე 6:67–68.
12. იხილეთ მათე 16:24.

© 2013 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი *Visiting Teaching Message, November 2013.* Georgian. 10670 131